



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 87

2016 წლის 5 სექტემბერი



ხაშური

2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი №5; №44; №40; №42 და №50 საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ფართის ქირაობის თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული 2016 წლის 3 აგვისტოს №48 წერილით, ხაშურის №35-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ითხოვს №5; №44; №40; №42 და №50 საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ფართის გამოყოფას. ვინაიდან მოცემულ ტერიტორიებზე არ არსებობს, 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მოსამზადებლად და ჩატარების ხელშეწყობის მიზით, სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების განსათავსებლად ფართის ქირაობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 58-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №60 დადგენილების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს დანართი №1-ში მითითებული პირებისგან №5; №44; №40; №42 და №50 საუბნო საარჩევნო კომისიების განსათავსებლად იქირაოს შესაბამისი ფართები (დანართი №1 თან ერთვის)
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეფაზვნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე